სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 ივლისი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/63

ბსუ-ს 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ევროკავშირის სტანდარტები და მოთხოვნები მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების მიმართ და მათი იმპლემენტაციის შესაძლებლობა საქართველოში“ საბოლოო პროგრამული ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის #36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' მე-5 და მე-6 მუხლების, ბსუ-ში 2024-2025 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 12 თებერვლის №01-02/15 ბრძანების, „ბსუ-ში 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 მარტის №06-01/25 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის, გიორგი ქათამაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0000730627, 23.06.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს ბსუ-ში 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის **„ევროკავშირის სტანდარტები და მოთხოვნები მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების მიმართ და მათი იმპლემენტაციის შესაძლებლობა საქართველოში“** ხელმძღვანელის/მენეჯერის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის, **გიორგი ქათამაძის** მიერ წარმოდგენილი საბოლოო პროგრამული ანგარიში (წინამდებარე დადგენილების **N1. დანართი** - გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებული აქტივობების, პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად გაწეული ხარჯების, გაცემული თანხების შესახებ).

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაშს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელს გიორგი ქაათამაძეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტსა და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**